



სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება

N 39
13/10/2020

39-0-4-202010131335



სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, სოფელ ბოდბისხევში მდებარე 393 კვ.მ არასასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწისა და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობის (ყოფილი საბავშვო ბაღი), ს/კ №56.05.49.007 პირდაპირი წესით სარგებლობის უფლებით (უსასყიდლო უზუფრუქტი) სვეტა კლიმინოვასათვის გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-5 პუნქტისა და სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 16 სექტემბრის #05/3239 და 2020 წლის 22 სექტემბრის N 05/3309 წერილების საფუძველზე, სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერს გიორგი გოგილაშვილს, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, სოფელ ბოდბისხევში მდებარე 393 კვ.მ არასასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწა მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით (ყოფილი საბავშვო ბაღი) ს/კ №56.05.49.007 პირდაპირი წესით სარგებლობის უფლებით (უსასყიდლო უზუფრუქტი) გადასცეს სვეტა კლიმინოვას (პ.6 40401042561) ორი წლის ვადით.
2. დაევალოს სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერს გიორგი გოგილაშვილს მოქმედი კანონმდებლობით უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმება .
3. სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატმა უზრუნველყოს წინამდებარე განკარგულების გადაგზავნა სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიაში..
4. ეს განკარგულება ძალაში შევიდეს მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.
5. ამ განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია სიღნაღის რაიონულ სასამართლოში (ქ. სიღნაღი ც. დადიანის ქ. #15) განკარგულების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

ილია ხატიაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე